სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/46

ქ. თბილისი

26 სექტემბერი 2024

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართის იჯარით გადაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და 85-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 და 45-ე მუხლების, სტუ-ის ვიცე კანცლერის, თეიმურაზ ბულიას 2024 წლის 17 სექტემბრის №0001148380 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 26 სექტემბრის №01-06-02/08 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, მრავალფუნქციური თვითმომსახურების აპარატების განთავსების მიზნით, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის პირველ სართულზე (მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77) 1,5 კვ. მეტრი ფართობის იჯარის უფლებით გადაცემის შესახებ. საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვროს 2026 წლის 1 (პირველი) ოქტომბრამდე პერიოდი;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**